საქართველოს მთავრობის განკარგულება

№960 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის“ (აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთი) ფარგლებში, საქართველოში სხვადასხვა საავტომობილო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და დეტალური პროექტების მომზადების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის“ (აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთი) ფარგლებში, შემდეგი საავტომობილო გზების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და დეტალური პროექტების დაფინანსების შესახებ:

საავტომობილო გზის დასახელება	განსახორციელებელი საქმიანობა
თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე და წნორი-ლაგოდეხი	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე	დეტალური პროექტირება
რუსთავი-წითელი ხიდი და	ტექნიკურ-ეკონომიკური

რუსთავი-სადახლო	დასაბუთება
რუსთავი-წითელი ხიდი	დეტალური პროექტირება
ჟინვალი-ლარსი	წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
ჟინვალი-ლარსი	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
ქვეშეთი-კობი	დეტალური პროექტირება
სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზა (ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დამაკავშირებელი გზის გათვალისწინებით)	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართოს მსოფლიო ბანკს, „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის“ (აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთი) ფარგლებში, ამ განკარგულების პირველ პუნქტში ჩამოთვლილი გზების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და დეტალური პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**